ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 5

დ. ლენტეხი. **28.03. 2025 წ.**

მიმდინარე წლის 28 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები- მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მარეხი ონიანი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.**

/მომხ. ლ. გუგავა/

მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის 90 -ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მიმდინარე წლის 18 მარტს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა ელექტრონული ფორმით საკრებულოში წარმოადგინა 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ანგარიში განსახილველად დაეწერა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიას და ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს". კომისიები მიმდინარედ განიხილავენ წარმოდგენილ ანგარიშს და მორიგ კომისიის სხდომაზე წარმოადგენენ მათ მოსაზრებებს. ასევე ინფორმაცია დადებულია საკრებულოს ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირებს მიეცემა საშუალება შეკითხვები ანგარიშთან დაკავშირებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინონ 15 აპრილამდე.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა სხდომაზე იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ანგარიშის განხილვა გაგრძელდეს მორიგ კომისიის სხდომაზე.

კომისიის სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე /ლ.გუგავა./